მომსახურების ხელშეკრულება
ფერწერული ან/და გრაფიკული ნაწარმოების საექსპერტო გამოკვლევაზე

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთი მხრივ: ა(ა)იპ ირაკლი ფარჯიანის სახელობის ფონდი (საიდენტიფიკაციო ნომერი ----------) რეგისტრირებული სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის # ------- გადაწყვეტილების საფუძველზე, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მიხეილ ჯიქიას მიერ (პ/ნ 01036001842) (შემდეგში „შემსრულებელი“)

და მეორე მხრივ: ფ/პ ---------- (პ/ნ ----------)
(შემდეგში „დამკვეთი“)

ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 „შემსრულებელი“ უზრუნველყოფს „დამკვეთის“ მიერ წარმოდგენილი ფერწერული ან/და გრაფიკული ნაწარმოების საექსპერტო კვლევას ამავე პუნქტში ჩამოთვლილი ამოცანებიდან ერთ - ერთის ან რამოდენიმეს გადასაწყვეტად:
2.1.1 ნაწარმოების ავტორის დადგენა ან/და რომელიმე სამხატვრო სკოლისადმი ან მიმართულებისადმი ნაწარმოების მიკუთვნებულობის განსაზღვრა;
2.1 ნაწარმოების შექმნის დროისა და ადგილის დადგენა;
2.1.2 ნაწარმოების ნამდვილობის დადგენა;
2.1.3 ნაწარმოების ორიგინალობის ან მისი მეორადი ხასიათის განსაზღვრა, ამასთან მეორადი ხასიათის ნაწარმოების ტიპოლოგიური დიფერენცირება.

შენიშვნა: (კონკრეტული ამოცანის (მიზნის) განსაზღვრისათვის ხაზი უნდა გაესვას შერჩეულ პუნქტს);

2.2 „დამკვეთი“ ვალდებულია „შემსრულებელს“ აუნაზღაუროს გაწეული მომსახურების საფასური;
2.3 „დამკვეთის“ მიერ საექსპერტო გამოკვლევაზე წარმოდგენილი ფერწერული ან/და გრაფიკული ნაწარმოების (შემდეგში „საკვლევი ობიექტი“) აღწერილობა და მისი ფაქტიური მდგომარეობა (ფიზიკური სახე) ასახულია დამკვეთის მიერ შევსებულ განაცხადში, რომელიც წარმოადგნს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. განცხადებები და გარანტიები

3.1 თითოეული მხარე აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ:

3.1.1 ხელშეკრულების დადების/ხელმოწერისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებამოსილების მიზნით მათ მიერ მოპოვებულია ყველა აუცილებელი თანხმობა და ნებართვა;

3.1.2 ხელშეკრულება იდება ნებაყოფლობით, მეორე მხარის ან მესამე პირის მხრიდან მოტყუების, ძალადობის და/ან მუქარის გარეშე;
3.1.3 ხელშეკრულების დადება და შესრულება არ იწვევს/გამოიწვევს იმ სახელშეკრულებო, სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო), საკანონმდებლო ან/და სხვა ვალდებულებების დარღვევას, რომელთა დაცვაზეც ის პასუხისმგებელია;

3.2 დამკვეთი აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ:

3.2.1 „საკვლევი ობიექტი“ მის მფლობელობაში იმყოფება კანონიერ საფუძველზე და მესამე პირებს არ აქვთ არანაირი სამართლებრივი უფლება სადაოდ გახადონ „საკვლევ ობიექტზე“ რაიმე სახის მოქმედება (მათ შორის საექსპერტო კვლევა);

3.2.2 საექსპერტო დასკვნის შინაარსი გავლენას არ მოახდენს მის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;

3.2.3 იგი გაეცნო შემსრულებლის ვებ-გვერდზე განთავსებულ - ა(ა)იპ ირაკლი ფარჯიანის ფონდთან არსებული ფერწერულ და გრაფიკულ ნაწარმოებთა კვლევითი ცენტრის დებულებას, შესაბამისად მისთვის სრულიად ნათელი და გასაგებია თუ რა პრინციპებისა და წესების საფუძველზე ტარდება საექსპერტო კვლევა შემსრულებლის მიერ;

3.2.4 არ გააჩნია რაიმე სახის შენიშვნა ან/და პრეტენზია ა(ა)იპ ირაკლი ფარჯიანის ფონდთან არსებული ფერწერულ და გრაფიკულ ნაწარმოებთა კვლევითი ცენტრის დებულების რომელიმე პუნქტის შინაარსთან და თანახმაა საექსპერტო გამოკვლევა ჩატარდეს ამავე პუნქტში ასახული წესების დაცვით;

3.3 შემსრულებელი აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ:

3.3.1 მას გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია ორგანიზება გაუწიოს საკვლევი ობიექტის საექსპერტო გამოკვლევას და უზრუნველყოს ამ პროცესში შესაბამისი კვალიფიკაციის ექსპერტების/სპეციალისტების ჩართვა;

3.3.2 დამკვეთის ვინაობა, საკვლევი ობიექტი, ან სხვა რაიმე გარემოება გავლენას ვერ მოახდენს საექსპერტო კვლევის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაზე;

3.3.3 მისთვის უცნობია საექსპერტო გამოკვლევის პოტენციური შედეგი და ეს შედეგები მთლიანად იქნება დამოკიდებული გამოკვლევის პროცესში მიღებულ დასკვნებზე.

4. ექსპერტიზის სახე

4.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე შემსრულებელი უფლებამოსილია განახორციელოს „საკვლევი ობიექტის“:
4.1.1 სახელოვნებო კვლევა

4.1.2 წყაროს კვლევა
4.1.3 ისტორიის კვლევა
4.1.4 ტექნიკურ-ტექნოლოგიურ კვლევა
4.1.5 სრული კომპლექსური კვლევა, რომელიც მოიცავს 4.1.1 – 4.1.4 პუნქტებით განსაზღვრული კვლევის ყველა სახეს.

შენიშვნა: (კონკრეტული სახეობის საექსპერტო კვლევის განსაზღვრისათვის ხაზი უნდა გაესვას შერჩეულ პუნქტს)

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1 შემსრულებელი ვალდებულია:
5.1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის მიზნით შეარჩიოს და მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის პირები;
5.1.2 შექმნას ორგანიზაციული პირობები საკვლევი ობიექტის საექსპერტო გამოკვლევისათვის;
5.1.3 დაასწროს დამკვეთი საკვლევი ობიექტიდან ნიმუშის აღების პროცესს (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში);
5.1.4 დამკვეთს დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ ფაქტსა თუ მოვლენაზე რომელიც წარმოიშვა საექსპერტო კვლევის მიმდინარეობისას და რომელიც გავლენას ახდენს საკვლევი ობიექტის მდგომარეობაზე;
5.1.5 გამოკვლევის დასრულების შემდეგ მოამზადოს და დამკვეთს გადასცეს საექსპერტო დასკვნა;
5.1.6 საექსპერტო დასკვნასთან ერთად დამკვეთს გადასცეს საკვლევი ობიექტი და თანდართული მასალები (მათ შორის დოკუმენტები), რომლებიც მის მფლობელობაში აღმოჩნდა წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის პროცესში;
5.1.7 გაუფრთხილდეს საკვლევ ობიექტს და მასთან ერთად მასზე გადაცემულ სხვა მასალებს. მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა მათ დასაცავად;

5.2 შემსრულებელი უფლებამოსილია:

5.2.1 საექსპერტო გამოკვლევის პროცესში დამოუკიდებლად შეარჩიოს შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის პირები, როგორც საქართველოს რეზიდენტ ისე არარეზიდენტ პირთა წრიდან;
5.2.2 საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი პროცედურების დაცვით, განახორციელოს საკვლევი ობიექტიდან საკვლევი ნიმუშების აღება, რაზეც წინასწარ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია დამკვეთს, ხოლო სურვილის შემთხვევაში დამკვეთი თავად დაასწროს ასეთი ნიმუშების აღების პროცესს;
5.2.3 საკუთარი შეხედულებისამებრ, საექსპერტო გამოკვლევის ნებისმიერ სტადიაზე, ფაქტებისა და მოვლენების ფიქსაციის მიზნით, მოიწვიოს სასამართლო აღმასრულებელი ნოტარიუსი, სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ნებისმიერი უფლებამოსილი პირი;

5.2.4 დამკვეთისაგან მოითხოვოს საკვლევ ობიექტზე ექსპერტებისა და სპეციალისტების დაშვება, თუკი ექსპერტიზა დამკვეთის კონტროლქვეშ არსებულ ადგილზე ტარდება;
5.2.4 დამკვეთისაგან მოითხოვოს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა ჯეროვანი შესრულება;

5.3 დამკვეთი ვალდებულია:

5.3.1 შემსრულებელს მიაწოდოს საკვლევი ობიექტი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, ან შეუფერხებლად დაუშვას შემსრულებლის უფლებამოსილი წარმომადგენელი და მის მიერ შერჩეული ექსპერტები (სპეციალისტები), ასევე სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების წარმოამდგენლები, საკვლევი ობიექტის განთავსების ადგილზე, თუკი ექსპერტიზა დამკვეთის კონტროლქვეშ არსებულ სივრცეში ტარდება;
5.3.2 გასცეს თანხმობა საკვლევი ობიექტიდან შესაბამისი ნიმუშების აღებაზე და დაესწროს ამ პროცესს;
5.3.3 შემსრულებელს საკვლევ ობიექტთან დაკავშირებით მიაწოდოს მის ხელთ არსებული სრული და ზუსტი ინფორმაცია, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს საკვლევი ობიექტის წყაროსთან, ავტორთან, ისტორისთან და ა.შ.
5.3.4 შემსრულებლისგან მიიღოს საექსპერტო დასკვნა, საკვლევი ობიექტი და თანდართული დოკუმენტაცია, თუკი საკვლევი ობიექტი და შესაბამისი დოკუმენტები ექსპერტიზის პროცესში გადაეცა შემსრულებელს;
5.3.5 აანაზღაუროს შემსრულებლის მიერ გაწეული მომსახურების საფასური;

5.4 დამკვეთი უფლებამოსილია:

5.4.1 მიიღოს ინფორმაცია ყველა ფაქტობრივ გარემოებაზე, რომელიც წარმოიშვა ან ცხადი გახდა ექსპერტიზის ჩატარების პროცესში და რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს საკვლევი ობიექტის ფიზიკურ ან/და სამართლებრივ მდგომარეობაზე;
5.4.2 მიიღოს დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ მომზადებული კვლევის შედეგი - საექსპერტო დასკვნა;
5.4.3 წინასწარი თანხმობის გარეშე არ დაუშვას საკვლევი ობიექტიდან ნიმუშების აღება, ან საკვლევ ობიექტზე სხვა სახის ზემოქმედება;
5.4.4 მოითხოვოს საკვლევი ობიექტის დაცვის ხარისხის შემოწმება თუ იგი კვლევის პროცესში შესანახად გადაეცა შემსრულებელს.

6. საექსპერტო დასკვნა

6.1 კვლევის შედეგების მიხედვით, შემსრულებელი გასცემს საექსპერტო დასკვნას, რომელიც მოიცავს:
- მონაცემებს ექსპერტების შესახებ, რომლებიც ჩართულნი იყვნენ კვლევის პროცესში

- საკვლევი ობიექტის აღწერას და ინფორმაციას მის თაობაზე კვლევის დაწყების მომენტისათვის
- კვლევის შინაარსს
- ექსპერტთა დასკვნებს
- კვლევის შედეგების მიხედვით ინფორმაციას საკვლევი ობიექტის შესახებ

6.2 წინამდებარე გარიგებაზე ხელმოწერით შემსრულებელი არ იძლევა რაიმე სახის პირობას ან/და გარანტიას ექსპერტიზის დასკვნის შინაარსზე და იგი დამოკიდებულია მხოლოდ გამოკვლევის პროცესში მიღებულ შედეგებზე.

7. მომსახურების ღირებულება და გადახდის წესი

7.1. "შემსრულებლის" მიერ გასაწევი მომსახურების ღირებულება შეადგენს ---------- **(----------)** ევროს, გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული გაცვლითი კურსით ლარებში;

7.2. „დამკვეთი" ვალდებულია მომსახურების საფასური ავანსის სახით სრულად გადაიხადოს წინამდებარე ხელშეკრულების დადებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

7.3 შემსრულებელი უფლებამოსილია დამკვეთის მიერ მომსახურების საფასურის გადახდამდე არ დაიწყოს საექსპერტო კვლევა.

7.4 მომსახურების საფასური გადახდა დამკვეთისათვის სავალდებულოა ჩატარებული საექსპერტო კვლევის შედეგების მიუხედავად.

8. ექსპერტიზის ჩატარების ვადები

8.1 შემსრულებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადებია:

- 4.1.1 - 4.1.3 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურებისათის 20 სამუშაო დღე;

- 4.1.4 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურებისათვის 25 სამუშაო დღე;

- 4.1.5 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურებისათის 35 სამუშაო დღე;

8.2 წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის სამუშაო დღე მოიცავს დღეებს ორშაბათიდან - პარასკევის ჩათვლით, ამასთან მასში არ შედის საქართველოს შრომის კანონთა კოდექსით განსაზღვრული უქმე და დასვენების დღეები.

8.3 მომსახურების გაწევის ვადა აითვლება შესაბამის მომსახურებაზე ხელშეკრულების დადების, საკვლევი ობიექტისა და მასთან დაკავშირებული

ყველა დოკუმენტაციის შემსრულებელზე გადაცემისა და ამავე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული ავანსის გადახდის დღიდან.

9. კონფიდენციალურობა

9.1 მხარეები ვალდებულნი არიან, როგორც ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დამთავრების შემდეგაც დაიცვან მეორე მხარისაგან მიღებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა;
9.2 კონფიდენციალურობის შესახებ ზემოაღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება ინფორმაციას, ან ინფორმაციის გამჟღავნებას:

9.2.1 იმ პროდუქტსა და ინფორმაციაზე, რომელიც დამკვეთმა უნდა გამოიყენოს მომსახურების გაწევის შედეგად;
9.2.2 რომელიც კანონმდებლობის დარღვევის გარეშე იყო ცნობილი ინფორმაციის მიმღები მხარისათვის მეორე მხარის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებამდე;

9.2.3 თუ ინფორმაციის გამჟღავნება მოხდება მხარეთა მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და შესასრულებლად (მათ შორის, რომელიმე მხარის მიერ სასამართლო-ასევე საარბიტრაჟო სასამართლო წესით- მისი უფლებების განსახორციელებლად);
9.2.4 რომლის მოპოვებაც შესაძლებელია სხვა წყაროებიდან;

9.3 მხარე უფლებამოსილია მეორე მხარის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მესამე პირს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად თავისი უფლებების განხორციელების-, ან/და მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე მონიტორინგის მიზნით.

9.4 კონფიდენციალურობის დაცვის მუხლი სავალდებულო ძალას ინარჩუნებს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაშიც.

10. შეტყობინება

10.1 მხარეთა შორის ოფიციალური კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით. მხარისათვის გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინება მას შეიძლება მიეწოდოს პირადად, ან გაეგზავნოს კურიერის ან საფოსტო გზავნილის საშუალებით. ამასთან დასაშვებია ასევე მეორე მხარისათვის შეტყობინების მიწოდება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

10.2 შეტყობინება მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნ მხარეს შეტყობინება დაუბრუნდება გაგზავნილ მისამართზე/საკონტაქტო მონაცემებზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის არარსებობის გამო, ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე, ან თავს აარიდებს მის მიღებას.

10.3 მხარეები კომუნიკაციას განახორციელებენ ხელშეკრულებით განსაზღვრულ მისამართებზე/საკონტაქტო მონაცემებზე (ან სხვა ნებისმიერ მისამართზე/საკონტაქტო მონაცემზე, რომელსაც ერთი მხარე აცნობებს მეორეს წერილობით). მხარე ვალდებულია აღნიშნული მისამართ(ებ)ის ან მათი რომელიმე მონაცემის ცვლილების შესახებ დროულად აცნობოს მეორე მხარეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარის მიერ აღნიშნულ მისამართზე განხორციელებული ურთიერთობა (შეტყობინების გაგზავნა და სხვა) ჩაითვლება ჯეროვნად შესრულებულად.

11. ფორს მაჟორი

11.1 ფორს-მაჟორული გარემოების არსებობისას მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან;

11.2 წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორულ გარემოებას განეკუთვნება ფაქტები და მოვლენები, რომლებიც პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენენ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებაზე და რომელთა დადგომა არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების რომელიმე მხარის ნებაზე;

11.3 ფორს მაჟორულ გარემოებებს განეკუთვნება:

- ომი და საომარი მოქმედებები, აჯანყებები, სახელმწიფო გადატრიალება, პოლიტიკური მღელვარება ქვეყნის მასშტაბით, სტიქიური მოვლენები (მიწისძვრა, ძლიერი ქარი, დიდთოვლობა, წყალდიდობა და ა.შ) ხანძარი, სასამართლოს გადაწყვეტილებები, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოს მიერ დაწესებული შეზღუდვები, კანონები ან სხვა ნორმატიული აქტები.

შენიშვნა: (ფორს-მაჟორული გარემოებების ჩამონათვალი არის სანიმუშო და არა ამომწურავი).

11.4. მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორული გარემოების გამო შეუძლებელი გახდა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია ფორს-მაჟორის დადგომიდან ან ფორს-მაჟორის შეტყობიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღისა აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.5.თუ ფორს-მაჟორი ერთ თვეზე მეტხანს გრძელდება და მხარე(ებ)მ(ა) დაკარგ(ეს)ა ინტერესი ხელშეკრულების შესრულების მიმართ, ისინი დამატებით თანხმდებიან ხელშეკრულების მოქმდების ვადის გაგრძელების ან მისი შეწყვეტის თაობაზე.

12. დავათა გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე პრეტენზიები მხარეებმა შეიძლება ერთმანეთს წაუყენონ წერილობით ან/და ზეპირად. პრეტენზიის მიმღები მხარე ვალდებულია პრეტენზიის მიღებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში მთლიანად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს წამოყენებული პრეტენზია, ან წერილობით ან/და ზეპირად აცნობოს მეორე მხარეს მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

12.2 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა (მათ შორის, ხელშეკრულების არსებობასთან, ინტერპრეტაციასთან, შესრულებასთან და აღსრულებასთან დაკავშირებით) წყდება მოლაპარაკებით. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს.

13. ზოგადი დებულებები

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე;

13.2 ა(ა)იპ ირაკლი ფარჯიანის ფონდთან არსებული ფერწერულ და გრაფიკულ ნაწარმოებთა კვლევითი ცენტრის დებულება, რომელიც წინამდებარე გარიგების დადებამდე გამოქვეყნებულია ფონდის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.irakliparjiani.com, წარმოადგნეს ამ ხელშეკრულების შემავსებელ დოკუმენტს. მხარეები აცხადებენ თანხმობას აღიარონ და იმოქმედონ იმ პრინციპების შესაბამისად რაც ასახულია ზემოთხსენებულ დებულებაში;

13.4 ხელშეკრულების პირობების შეცვლა ან დამატება ხდება მხარეთა შორის წერილობით გაფორმებული ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

13.5 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2-(ორ) ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და გადაეცემა მხარეებს;

14. მხარეთა რეკვიზიტები და საკონტაქტო ინფორმაცია

შემსრულებელი	დამკვეთი